



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კავკასიის ისტორიულ-არქეოლოგიური ინსტიტუტი

კავკასიის ისტორიულ-არქეოლოგიური ინსტიტუტი, დაარსდა თბილისში 1917 წლის 1 ივლისს. ეს იყო პირველი ინ-ტი რუსეთის მეცნ. აკად. სისტემაში. დაარსების ინიციატორი და ოფიც. ხელმძღვანელი იყო ნ. მარი. ინ-ტის ძირითად მიზანს შეადგენდა კავკ. მოსახლეობის და მისი მონათესავე ხალხთა ენებისა და ისტ. შესწავლა, კავკასიის მცოდნეობასთან დაკავშირებული სამეცნ. დისციპლინების განვითარება, ყოფ. კავკ. სამეფისნაცვლოს ფარგლებში არსებული მატერ. და სულიერი კულტურის ძეგლების რეგისტრაცია-დაცვა. 1931 ინ-ტს დაემატა საბუნებისმეტყველო მეცნ. განყ-ბა და ეწოდა სსრკ მეცნ. აკად. კავკასიის მცოდნეობის ინ-ტი, რ-ის ბაზაზე 1932 შეიქმნა სსრკ მეცნ. აკად. ამიერკავკ. ფილიალი. 1933 ამიერკავკ. ფილიალის ბაზაზე ჩამოყალიბდა სსრკ მეცნ. აკადემიის ამიერკავკ. ფილიალის საქართველოს განყ-ბა. 1935 მოხდა სსრკ მეცნ. აკად. ამიერკავკ. ფილიალის რეორგანიზაცია: ჩამოყალიბდა 3 დამოუკიდებელი ფილიალი – აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის. 1941 თებერვალში საქართვე. ფილიალის ბაზაზე ჩამოყალიბდა საქ. სსრ მეცნ. აკადემია. 1936 კავკასიის მცოდნეობის ინ-ტს ეწოდა აკად. ნ. მარის სახ. ამიერკავკ. ხალხთა ისტორიის, მატერ. კულტურის, ენისა და ლიტრის ინ-ტი, 1936 ივლისიდან კი – აკად. ნ. მარის სახ. ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტი („ენიმკი“). ინ-ტი აწყობდა სამეცნ. ექსპედიციებს, ლექცია-მოსხენებებს. მჭიდრო კონტაქტი ჰქონდა ამიერკავკ. და ჩრდ. კავკ. სამეცნ. წრეებთან. ჰქონდა აგრეთვე პერიოდული ორგანო – „კავკასიის ისტორიულ-არქეოლოგიური ინსტიტუტის მოამბე“.

ლიტ.: ჯ ა ნ ა შ ი ა ს., მოკლე ანგარიში ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის და მისი სამეცნიერო საბჭოს მუშაობისა 1936–1944 წწ., «ენიმკის მოამბე», 1944, ტ. 14; Д ж о р б е н а д з е С. М., Учреждения АН СССР и Тбилисский университет (Документы и факты), Тб., 1974.

